THE PEOPLE'S GUARD AND ITS COMMANDER VALIKO JUGHELI
სახალხო გვარდია და მისი სარდალი ვალიკო ჯუღელი

LEVAN ABALAKI
Doctoral Candidate at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
ermonoa33@gmail.com
+995599996317
https://orcid.org/0009-0003-7440-5887

Abstract

The People's Guard was one of the formations within the armed forces of the Democratic Republic of Georgia, and it made a significant contribution to the battles for the stability, security and defense of the Georgian state. It was organised according to the territorial principle and mainly consisted of a cadre unit and reserves.

The Red Guard, established as early as December 1917, was transformed into the People's Guard following the restoration of Georgia's independent statehood. In the Democratic Republic of Georgia, the People's Guard carried out both symmetrical military operations and anti-partisan and policing operations. Despite at times brutal actions, the People's Guard played a major role in combating anarchy, ensuring the country's stability, and strengthening the state apparatus.

The creation and activities of the People's Guard are largely connected with its commander, Valiko (Valerian) Jugheli. Valiko Jugheli is one of those Georgian public figures whose name has forever entered the ranks of fighters devoted to Georgia's freedom, although his complex, contradictory, and tragic life story was deliberately distorted for decades.

The communist authorities labeled Valiko Jugheli a bandit, and Soviet historiography uncritically adopted this assessment. As a result, Jugheli's biography and life path were intentionally falsified. Moreover, a man whose name was known throughout almost all of Georgia during the first quarter of the twentieth century was consigned to oblivion. Truthful accounts about him could only be heard within the Georgian émigré community.

Valiko Jugheli was a prominent military and political figure of the Democratic Republic of Georgia. He was also actively involved in the process of state-building as a member of the National Council of Georgia, the Parliament of Georgia, and the Constituent Assembly of Georgia from the Social Democratic Party. His authority is further demonstrated by the fact that Valiko Jugheli was elected as a deputy to the Transcaucasian Seim.

After Bolshevik Russia overthrew the Democratic Republic of Georgia, Jugheli went abroad together with members of Noe Zhordania's government. Even in exile, he actively participated in the struggle for Georgia's de-occupation, but when the forces fighting for freedom in his homeland needed his assistance, he returned from emigration without hesitation and became directly involved in organizing the anti-Soviet uprising. He breathed new life into the underground struggle, but Soviet special services managed to track him down and arrest him. During the days of the August Uprising of 1924, the Extraordinary Commission of Georgia (Cheka) executed Valiko Jugheli.

Georgian society, including the field of historical scholarship, remains indebted to Valiko Jugheli. It is time for his activities to be presented objectively and for this selflessly devoted fighter for his homeland's independence to be granted his rightful place in our history.

Keywords: Democratic Republic of Georgia, People's Guard, anti-state uprisings, Soviet regime, protest movement, August Uprising of 1924.

ლევან აბალაკი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
საქართველო, თბილისი
ermonoa33@gmail.com
+995599996317
https://orcid.org/0009-0003-7440-5887

აბსტრაქტი

სახალხო გვარდია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შემადგენელ ერთ-ერთ ფორმირებას წარმოადგენდა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სახელმწიფოს სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და თავდაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში. იგი აგებული იყო ტერიტორიული პრინციპით და ძირითადად კადრირებული ნაწილისა და რეზერვისაგან შედგებოდა.

ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში შექმნილი წითელი გვარდია, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდგომ სახალხო გვარდიად გარდაიქმნა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სახალხო გვარდია ახორციელებდა როგორც სიმეტრიულ საბრძოლო მოქმედებებს, ასევე ანტიპარტიზანულ და საპოლიციო ოპერაციებს. მიუხედავად ზოგჯერ ბრუტალური მოქმედებებისა, სახალხო გვარდიის დამსახურება დიდი იყო ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო აპარატის გამტკიცებაში.

სახალხო გვარდიის შექმნა და საქმიანობა დიდწილად დაკავშირებულია მის მეთაურთან ვალიკო (ვალერიან) ჯუღელთან. ვალიკო ჯუღელი ერთი იმ ქართველ მოღვაწეთაგანია, ვისი სახელიც სამუდამოდაა შესული საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლთა რიგებში, თუმცა მისი რთული, წინააღმდეგობრივი და ტრაგიკული თავგადასავალი ათწლეულების განმავლობაში მიზანმიმართულად იყო დამახინჯებული.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ ვალიკო ჯუღელი ბანდიტად შერაცხა და საბჭოთა ისტორიოგრაფიამაც ეს შეფასება უკრიტიკოდ გაიზიარა. ამიტომ ჯუღელის ბიოგრაფია, მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა შეგნებულად დამახინჯდა. მეტიც, კაცი, რომლის სახელი მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში ლამის მთელმა საქართველომ იცოდა, დავიწყებას მიეცა. მის შესახებ მართალი სიტყვა მხოლოდ ქართულ ემიგრაციაში თუ ისმოდა.

ვალიკო ჯუღელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. იგი ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეშიც აქტიურად იყო ჩართული, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული

პარტიიდან. მის ავტორიტეტს ცხადყოფს ისიც, რომ ვალიკო ჯუღელი არჩეული იყო ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატად.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკის დამხობის შემდეგ ჯუღელი ნოე ჟორდანიას მთავრობის წევრებთან ერთად საზღვარგარეთ გაიხიზნა. იგი უცხოეთშიც ქმედით მონაწილეობას იღებდა საქართველოს დეოკუპაციისათვის ბრძოლაში, მაგრამ როდესაც სამშობლოში თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს მისი დახმარება დასჭირდათ, ემიგრაციიდან უყოყმანოდ დაბრუნდა და ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზებაში უშუალოდ ჩაება. მან ახალი სული შთაბერა არალეგალურად ბრძოლას, მაგრამ საბჭოთა სპეცსამსახურებმა შეძლეს ჯუღელის კვალზე გასვლა და იგი დააპატიმრეს. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დღეებში საქართველოს საგანგებო კომისიამ (ჩეკა) ვალიკო ჯუღელი დახვრიტა.

ქართული საზოგადოება და მათ შორის საისტორიო მეცნიერებაც ვალშია ვალიკო ჯუღელის წინაშე. დროა მისი მოღვაწეობა ობიექტურად გაშუქდეს და სამშობლოს დამოუკიდებლობას უანგაროდ შეწირული მოღვაწეს სათანადო ადგილი დაუმკვიდრდეს ჩვენს ისტორიაში.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სახალხო გვარდია, ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები, საბჭოთა რეჟიმი, საპროტესტო მოძრაობა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ისტორია, შეიძლება ითქვას, უკვე კარგადაა შესწავლილი. გაშუქებულია მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხები, არსებობს რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტის არა ერთი წარმომადგენლისადმი მიძღვნილი მონოგრაფია, სადისერტაციო გამოკვლევა, ფოტო ალბომი, საჟურნალო თუ საგაზეთო პუბლიკაცია და სხვ. (გურული, ვ. 1999; შუბითიძე, ვ. 2004; ჯანელიძე, ო. (2002); ჯანელიძე, ო. (2025); „ნოე ჟორდანია - 150“ (2018); ვაჭარაძე, ა. (2019); ჭანტურიძე, ს. ვაჭარაძე, ა. (2022). უყურადღებოდ არ არის დატოვებული არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, პირველ რიგში, რეგულარული არმიის შექმნის, მისი შეიარაღებისა და საბრძოლო მოქმედებების ისტორია (სილაქაძე, 2023), მაგრამ ცოტაა დაწერილი სახალხო გვარდიისა და მისი უცვლელი სარდლის ვალიკო ჯუღელის შესახებ.

ვალიკო ჯუღელმა დაგვიტოვა საკუთარი დღიურების საფუძველზე შექმნილი წიგნი, რომელიც 1920 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა (Джугели, В. 1920). ეს ნაშრომი საბჭოთა პერიოდში აკრძალული იყო, მხოლოდ ბიბლიოთეკების სპეცსაცავებში ინახებოდა და მკითხველს მასზე ხელი არ მიუწვდებოდა. 2022 წელს წიგნი ქართულ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა. (ჯუღელი, ვ. 2022). ქართველ საზოგადოებას საშუალება მიეცა ამ საყურადღებო პუბლიკაციას მშობლიურ ენაზეც გაეცნოს.

სახალხო გვარდია არაორდინარული სამხედრო შენაერთი იყო. იგი ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამდე ჩამოყალიბდა და თვალსაჩინო როლი შეასრულა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მონაპოვართა დაცვაში. „რევოლუციის მონაპოვარი“ მაშინდელი ტერმინია და გულისხმობდა მთელ რიგ დემოკრატიულ თავისუფლებებს, რომელიც თვითმპყრობელობის დამხობას მოჰყვა. მათ შორის: დამყარდა სიტყვის, ბეჭდვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, რაც მანამდე შეზღუდული

იყო. პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება, ძველი რეჟიმის რეპრესიული აპარატის (ჟანდარმერია, პოლიცია, ოხრანკა) გაუქმება და სხვ.

მთელი არსებობის განმავლობაში სახალხო გვარდიის უცვლელი მეთაური იყო მისი სარდალი ვალიკო ჯუღელი – საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფანატიკურად ერთგული კაცი, უშიშარი მებრძოლი და სამშობლოს თავისუფლების იდეას თავშეწირული პიროვნება.

საკითხის შესწავლისათვის ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზა არსებობს საარქივო დოკუმენტების, 1918-1921 წლების ქართული პერიოდული პრესის მასალებისა და მემუარული ლიტერატურის სახით. მათი შესწავლ-ანალიზის გზით შესაძლებელია გაირკვეს სახალხო გვარდიის როლი და ადგილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის, როგორც თავდაცვის სისტემაში, ისე სახელმწიფოებრივი წესრიგისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა სტრუქტურის ანალიზისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სახალხო გვარდიის ინსტიტუციური ბუნების განსაზღვრა. ტრადიციულად, იგი ხშირად აღიქმება როგორც სამხედრო ძალა, რომელიც პარალელურად მოქმედებდა რეგულარულ არმიასთან. ეს შეფასება საჭიროებს სერიოზულ გადახედვას, ვინაიდან გვარდიის სტრუქტურული, ფუნქციური და პოლიტიკური მახასიათებლები მნიშვნელოვნად სცილდება კლასიკური სამხედრო ქვედანაყოფის ჩარჩოებს.

კვლევის მეთოდი

კვლევა დაფუძნებულია ისტორიზმის პრინციპზე, ასევე გამოყენებულია ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი და დოკუმენტის შესწავლის მეთოდები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფაქტობრივი მასალის კრიტიკულ გააზრებას, ასევე, სხვადასხვა პირველწყაროსა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემთა ანალიზს. საკითხი სხვადასხვა პერსპექტივიდანაა შესწავლილი. სტატიაში გაშუქებულია სახალხო გვარდიის არსი და დანიშნულება, წარმოჩენილია ამ შეიარაღებული შენაერთის ხელმძღვანელის ვალიკო ჯუღელის ბიოგრაფიული პორტრეტი და მოცემულია მისი მოღვაწეობის შეფასების ცდა.

შედეგები

1. კვლევამ აჩვენა, რომ სახალხო გვარდია 1918-1921 წლებში არ წარმოადგენდა კლასიკურ სამხედრო ქვედანაყოფს; იგი იყო პარტიულ-პოლიტიკური, ნახევრად მილიციური და უსაფრთხოების ფუნქციების მატარებელი ჰიბრიდული ინსტიტუცია, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებდა რეგულარული არმიის მოვალეობას.

2. სახალხო გვარდია ერთგვარი შუალედური ფორმა იყო მუდმივ ჯარსა და არაფორმალურ შეიარაღებულ ძალას შორის. მისი ფუნქცია უფრო ახლოს იდგა ჟანდარმერიასთან, შიდა სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ძალებთან, ვიდრე კლასიკურ არმიასთან. არმიასა და გვარდიას ჰყავდათ განსხვავებული სარდლობა, ჰქონდათ არაერთგვაროვანი ორგანიზაციული ლოგიკა და რიგ შემთხვევებში – განსხვავებული ოპერატიული პრიორიტეტები.

3. ფორმალურად გვარდია სახელმწიფოს ძალოვან სტრუქტურად იყო ჩამოყალიბებული, თუმცა პრაქტიკაში მისი ლოიალობა დაკავშირებული იყო კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან – მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, რაც დიდწილად, განპირობებული იყო 1918-1921 წლების საქართველოს პოლიტიკური რეალობით.

4. სახალხო გვარდიის ორმაგი ბუნება – სახელმწიფოებრივი ფორმა და პარტიული შინაარსი – განაპირობებდა მის ჰიბრიდულ ხასიათს. ამასთან, გვარდია აერთიანებდა სამხედრო, მილიციურ და პოლიტიკურ ელემენტებს.

5. სახალხო გვარდიის მეთაური, მისი უცვლელი სარდალი ვალიკო ჯუღელი არ ყოფილა პროფესიონალი სამხედრო და არც სტრატეგი, მაგრამ უშუალოდ მონაწილეობდა ყველა იმ ბრძოლაში, რომელიც გვარდიამ 1918-1921 წლებში გადაიხადა, ასეთი კი მრავლად იყო. გარდა იმისა, რომ იყო საუცხოო ორგანიზატორი, რაინდული შემართების ვალიკო ჯუღელი სამხედრო მოქმედებების დროს გვარდიელებს პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა.

6. ვალიკო ჯუღელი ვერ შეურიგდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას. 1921 წლის მარტში იგი ემიგრაციაში გაიხიზნა, მაგრამ არ შეუწყვეტია ბრძოლა საქართველოს დეოკუპაციისათვის. როგორც კი თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმემ მოითხოვა, იგი უცხოეთიდან უყოყმანოდ დაბრუნდა სამშობლოში, ანტისაბჭოთა აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი როლი იკისრა და ეროვნულ თავისუფლებას გმირულად შეეწირა.

მსჯელობა

მუშათა რაზმების შეიარაღების იდეა პირველად თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოში დაიბადა, რომელშიც ძირითადად სოციალისტური მიმართულების პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებით (სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, ბოლშევიკები ესერები) იყო დაკომპლექტებული. საბჭოს ინიციატივით, თბილისში დაფუძნდა ჯერ „სამილიციო კომისია“, შემდეგ „წესრიგის დაცვისა“ და „საზოგადოების უსაფრთხოების კომისიები“. მათი გაერთიანების გზით კი ჩამოყალიბდა „საზოგადოების უსაფრთხოების კომისია“. სწორედ ამ კომისიამ 1917 წლის 5 სექტემბერს [ახალი სტილით 18 სექტემბერს], ნაძალადევში, სანდო მუშების მცირე ჯგუფი გამოყო და იგი სხვადასხვა სისტემის (რუსული, გერმანული, თურქული) შაშხანებით შეაიარაღა (ჯუღელი, 2022: 28). ასე აღმოცენდა მუშათა პირველი შეიარაღებული დანაყოფი, რომელიც სულ მალე წითელი გვარდიის საფუძვლად იქცა.

1917 წლის 12 დეკემბერს [ახალი სტილით 25 დეკემბერს] შეიარაღებულმა მუშებმა მოულოდნელი შეტევით დაიკავეს თბილისში მდებარე არსენალი, რომელიც იყო კავკასიაში დისლოცირებული რუსეთის არმიის მთავარი იარაღის საცავი და ამით დედაქალაქი ბოლშევიკური გადატრიალების საფრთხისაგან გადაარჩინეს. ამ ფაქტის მნიშვნელობის გამო, ეს დღე გვარდიის დაბადების დღედ დაწესდა.

წითელი გვარდია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ოზაკომისა და ამიერკავკასიის კომისარიატის მმართველობის პერიოდში ქვეყნად შექმნილი ქაოსისა და ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გვარდიის სამხედრო დანაყოფი შეინარჩუნა, იგი ოფიციალურ სტრუქტურად გარდაქმნა, უწოდა „სახალხო გვარდია“ და სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მოაქცია. „წითელ გვარდიას“ მადლიერმა ხალხმა „სახალხო გვარდია“ უწოდა. ეს სახელწოდება აღიარებაა იმისა, რომ სახალხო გვარდიამ იხსნა ერი ანარქიის საშინელ გველეშაპისაგან“, – წერდა მოგვიანებით ამ ფაქტის გამო გაზეთი „ერთობა“ (ერთობა, 1918: 12. 12).

1918 წლის 2 ივლისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიისა“. კანონის მიხედვით, სახალხო გვარდიას

განესაზღვრება მიზანი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვაში გამოიხატებოდა.

სახალხო გვარდია შექმნის დღიდან იბრძოდა ფრონტის წინახაზე, სადაც ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის საკითხი წყდებოდა, იქნებოდა ეს ბოლშევიკური აჯანყებები, ოსმალური არმიის შემოტევა, თეთრი რუსეთის მოხალისეთა ქვედანაყოფების წინააღმდეგ ბრძოლა თუ საბჭოთა რუსეთის წითელი არმიების თავდასხმა. სახალხო გვარდიის სტრუქტურაში არსებობდა კონტრდაზვერვის დანაყოფი, რომელსაც უცხო ქვეყნების აგენტების, შინა მოღალატეების გამოვლენა და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების პრევენცია ევალებოდა, რასაც თავს წარმატებით ართმევდა. ყოველივე ეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას საფუძველს აძლევდა, რომ დამფუძნებელ კრებაში გამოსვლისას განეცხადებინა: „გვარდია შეიქნა რევოლიუციონურ ტალღებში საუკეთესო მოწინავე ელემენტებისგან და ეს ინსტიტუტი ჩვენ დავაკანონეთ. ბევრი იყო მისი მოწინააღმდეგე, მარა მისმა საქმეებმა ეხლა თვით ურწმუნონიც კი დაარწმუნა მის აუცილებლობისა და დიად სახელმწიფო სარგებლიანობაში“ (ჯანელიძე, ო. 2018: 84).

სახალხო გვარდია მოხალისეობრივი პრინციპით კომპლექტდებოდა. მასში ძირითადად სოციალისტური მსოფლმხედველობის გამზიარებელი თუ მიმდევარი მუშა-მოსამსახურენი, რკინიგზელები, ხელოსნები, გლეხობის წარმომადგენლები ერთიანდებოდნენ. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გვარდია იდეურ-პოლიტიკური ნიშნით იქმნებოდა, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის უპირობო თანადგომით სარგებლობდა, რაც ოპოზიციური ძალების მუდმივ გულისწყრომას იწვევდა.

სახალხო გვარდიის წევრთა უმეტესობა სამხედრო პროფესიონალი არ იყო. გვარდიელები ხშირად რევოლუციური მოძრაობიდან მოსული აქტივისტები ან მოხალისეები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ გვარდიაში დისციპლინა და სამხედრო მომზადება ყოველთვის სათანადო დონეზე ვერ იდგა.

გვარდიას იმთავითვე ბევრი მოწინაარმდეგე და კრიტიკოსი ჰყავდა, განსაკუთრებით მემარჯვენე ოპოზიციის სახით, რომელსაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენდა. საილუსტრაციოდ ამ პარტიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენლის, ვასილ წერეთლის განცხადებაც გამოდგება, რომელსაც ქვემოთ დავიმოწმებთ: ვასილ წერეთლის სიტყვებით: „სახალხო გვარდიას ტყუილად ჰქვიან სახალხო, რადგან იგი არც ხალხს იცავს და არც ხალხის მიერაა არჩეული, არ წამს ჯარს. ხალხსაც ეჯავრება წითელი გვარდია და ჯარსაც. საჭიროა რეგულიარული ჯარის შექმნა“ (საქართველო, 1918: 26. 06).

სახალხო გვარდიაში არსებულ გარკვეულ ნაკლოვანებებს არც მისი ხელმძღვანელობა მალავდა, აღიარებდა რომ გვარდიაში „შეიპარა არაკეთილსაიმედო ხალხი, რომლებიც მას სახელს უტეხენ“ და სხვ. (სახალხო საქმე“, 1920 წ., 27. 10).

კრიტიკის მიუხედავად, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში სახალხო გვარდიას მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა. მის როლს ოპოზიციის წარმომადგენლებიც ვერ უარყოფდნენ. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატი იოსებ მაჭავარიანი აცხადებდა: „გვარდიას ...როგორც ყოველივე ჯარის ნაწილს, აქვს თავის დიადი საქმე. ის იცავს სამშობლოს საზღვრებს და ეხმარება მთავრობას სახელმწიფო წესრიგის დაცვაში, როდესაც ამას მთავრობა მოსთხოვს. გვარდია უკვე შემოსილია ხალხის თვალში ჩვენი დამოუკიდებლობის დარაჯის შარავანდედით“ (ჯანელიძე, 2018: 86).

ქვეყნის მმართველი სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება აქტიურად იცავდა გვარდიის იდეას და ძალისხმევას არ აკლებდა როგორც მის სტრუქტურულ განმტკიცებას, ისე

შემდგომ განვითარებას. მითუფრო, რომ ნოე ჟორდანია სახალხო გვარდიაში ,,შეგნებულ მუშებთან“ ერთად „სახელმწიფოს აღმშენებელი ძალასაც“ ხედავდა (ერთობა, 1918: 30.08).

გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი აცხადებდა: გვარდია არის „შეიარაღებული რევოლიუციონური დემოკრატია. ...შეიძლება გვარდიას ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ მას „ერთი უდიდესი ღირსება აქვს: ესაა მისი გარდაუვალი სიყვარული ჩვენი დამოუკიდებლობისა. დემოკრატიული წესწყობილებისადმი, სურვილი მისთვის თავის შეწირვისა. ...მასში იყო და არის დაუშრეტელი მორალური ძალა“ (ერთობა, 1918: 26.11).

სახალხო გვარდიის მნიშვნელობას განსაკუთრებით გამოკვეთდდა და პოპულარიზაციას უწევდა სახელისუფლებო პრესა. მაგალითად, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა: „სახალხო გვარდია – ეს თავისუფლების გამარჯვების სიმბოლოა; სახალხო გვარდია – ეს რევოლუციის მონაპოვართა ფხიზელი დარაჯია. სახალხო გვარდია – ეს რევოლუციონერთა და გმირთა თაიგულია, რომელსაც ფაქიზათ და მოწიწებით ეპყრობა ყველა, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს თავისუფლება, დემოკრატიული რესპუბლიკა“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1919: 12.12).

პათეტიკურად წარმოაჩენდა სახალხო გვარდიის როლს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გაზეთი „სახალო საქმეც“, რომელიც აღნიშნავდა: „ყოველ ეჭვსგარეშეა ის სამსახური, რომელიც გაუწია სახალხო გვარდიამ რევოლიუციის განმტკიცებასა და საქართველოს დაცვის საქმეს. გვარდიელები იყვნენ პირველი რაზმელები, რომელნიც შემოიკრიბნენ რევოლიუციონური დემოკრატიზმის დროშის გარშემო რევოლიუციის პირველი დღიდანვე და დღემდე მედგრად იცავენ მოპოვებულ უფლებათ; გვარდიელები არიან განთავისუფლებულ საქართველოს ფხიზელი მოდარაჯენი და დარწმუნებული ვართ გვარდია მტლად დაედება ერის აღდგენას“ (სახალო საქმე, 1918: 12.12).

სოციალისტ-რევოლუციონერთა გაზეთი „შრომა“ კი მიუთითებდა, რომ გვარდია მათი იდეალია. „მთელი მშრომელი ხალხი უნდა შეადგენდეს ერთ რევოლუციონურ გვარდიას. ...გვარდია არის შეიარაღებული მშრომელი ხალხი მინიატურაში, ჩვენი მისწრაფება, მოთხოვნილება კი არის შეიარაღება მთელი მშრომელი ხალხის, მუდმივი ჯარის ნაცვლად, რომლის არსებობა შეუთავსებელია ჭეშმარიტად თავისუფალ ხალხოსნურ რეჟიმთან (შრომა, 1921: 16. 01).

მოგვიანებით, ემიგრაციაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, სახალხო გვარდიის როლს უფრო ობიექტურად აფასებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი დავით შარაშიძე. მისი სიტყვებით: „დღეს ჩენში ბევრნი იწუნებენ სახალხო გვარდიის მოღვაწეობას და მას ცუდათ იხსენიებენ. ჩვენ არ გვინდა ხელი დავაფაროთ მის ნაკლულევანებებს: რევოლიუციის ხანაში სპეციალური, წარმავალი მიზნებისათვის ნაჩქარევათ შექმნილი ტეხნიკურათ მოუმზადებელი პირების მიერ – ის, რა თქმა უნდა, უნაკლო ვერ იქნებოდა და არც იყო; ნორმალურ დროში ნორმალურ სახელმწიფო შეიარაღებულ ძალის როლს ვერ შეასრულებდა. მაგრამ სწორეთ რომ მიუტევებელი უსამართლობაა მხოლოთ ნაკლთა მიჩნევა და ქვეყნის წინაშე მისი დაუფასებელი სამსახურის დავიწყება. გვარდია, ქართველი დემოკრატიის შეიარაღებული მარჯვენა, იყო ის მთავარი ფაქტორი, რომელმაც საქართველოს ეროვნულ აღორძინებას გზა გაუკაფა“ (შარაშიძე, 1925: 19).

კიდევ ერთი სოციალ-დემოკრატი, ყოფილი გვარდიელი ნ. ორაგველიძე მიუთითებდა: „რაც მუშაობა ჩვენში გვარდიამ ჩაატარა (ზოგიერთი დეფექტების გამოკლებით), ის არამც თუ საჭირო და სასარგებლო იყო, არამედ აუცილებელი და უმისოდ ჩვენ იმ სამ წელსაც ვერ ვიარსებებდით“. თუმცა იგივე ავტორი იქვე დასძენს: „მხოლოდ შემდეგ, რომ დაგვცლოდა, გვარდია არამც თუ უნდა გაფართოებულიყო, პირიქით, შემოკლების და კონსერვაციის გზაზე

უნდა შემდგარიყო და, როცა ჩვენი ნორჩი ჯარი დავაჟკაცდებოდა, ქართული რესპუბლიკური ტრადიციებით გამაგრებული, გვარდია, ქვეყნის წინაშე პირნათლად ვალმოხდილი, უნდა გაუქმებულიყო“ (ორაგველიძე, 1936: 6).

სახალხო გვარდიის კანონით განისაზღვრა გვარდიის მობილიზაციის წესი, რეკრუტების მომზადება-გადამზადების (სწავლების) პროცედურა და სხვ. კანონი განსაზღვრავდა ასევე, ძირითად ამოცანებს, რისი რეალიზება გვარდიის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა: ყოველი გვარდიელი ვალდებული გახდა ებრძოლა დასახული ამოცანების განსახორციელებლად. კანონი მიუთითებდა: „სახალხო გვარდიის ამოცანები ისეთივეა, როგორც ყოველი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების – ე.ი. დაიცვას დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება“ (სცსა, ფონდ. 2081, ანაწ. 2, საქმ. 2: 2).

სახალხო გვარდია რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სისტემის ნაწილი იყო და მის ერთ-ერთ სტრუქტურას წარმოადგენდა, თუმცა, ბევრი თანამედროვის დახასიათებით, იგი უპირველესად პარტიულ სამხედრო ფორმირებას წარმოადგენდა. ამიტომაც, ოპოზიცია რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის გაერთიანებასა და მათ ერთსარდლობის ქვეშ მოქცევას მოითხოვდა (საქართველო, 1919: 13. 07; საქართველოს დამფუძნებელი კრება, 2019: 488).

გვარდიის მმართველი ორგანო იყო და მის საქმიანობას ხელმძღვანელობდა გვარდიის მთავარი შტაბი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შესახებ კანონის თანახმად, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრებს ნიშნავდა მთავრობის ხელმძღვანელი, მთავარი შტაბის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის საქმიანობა ექვემდებარებოდა საქართველოს რესპუბლიკის მთავარობას და განისაზღვრებოდა მისი თავმჯდომარის უფლებამოსილებით. კანონი მთავრობას იმაშიც კი ავალდებულებდა, რომ უზრუნველეყო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წარმომადგენლის აუცილებელი დასწრება მთავრობის სხდომებზე (სათათბირო ხმის უფლებით).

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში 21 მუდმივი წევრი შედიოდა, რომელთა შორის 11 ოფიცერი, და დანარჩენი – სამოქალაქო პირი იყო (სცსა, ფონდ. 1970, ანაწ. 2, საქმ. 7: 12).

სახალხო გვარდიის სარდალი იყო ვალიკო ჯუღელი. მის გარდა გვარდიის მთავარ შტაბში შედიოდნენ: დავით საღირაშვილი, ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე, ანდრო ჭიაბრიშვილი, ვლადიმერ ჯიბლაძე, რუბენ აუშტროვი, გოგიტა ფაღავა და სხვ.

გვარდიის მთავარ შტაბი რუსთაველის პროსპექტზე, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში იყო განთავსებული

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ოპერატიულ ხელმძღვანელობას უწევდა გვარდიის მართვის მთლიან ვერტიკალს, უზრუნველყოფდა სახალხო გვარდიის ბრძოლისუნარიანობას და მის ყოველდღიურ ფუნქციონირებას.

სახალხო გვარდიის ხელმძღვანელი სტრუქტურა დროთა განმავლობაში იხვეწებოდა, იზრდებოდა. მისი მნიშვნელობა, ფუნქციები კი იმისდა მიხედვით ფართოვდებოდა, თუ როგორ იცვლებოდა ვითარება საქართველოში, მის საზღვრებთან თუ ცალკეულ, კონკრეტულ რეგიონში. 1919 წლის 19 დეკემბერს გამოქვეყნებული ახალი კანონის თანახმად, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ექვემდებარებოდა საოლქო შტაბები, ხოლო საოლქო შტაბებს – რაიონული შტაბები.

ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბიუჯეტი მწირი იყო. მზარდი ინფლაციის პირობებში აუცილებელი ხდებოდა ხელისუფლებას ეზრუნა ხელფასების

ზრდაზე, მათ შორის სახალხო გვარდიაშიც, მიუხედავად იმისა, რომ გვარდიელის ხელფასი დიდად აღემატებოდა ჯარისკაცის სარგოს. თუ არმიაში ჯარისკაცს თვეში 150-250 მანეთი ეძლეოდა, რიგითი გვარდიელის ანაზღაურება ყოველთვიურად 3-6 ათას მანეთს შეადგენდა და რეგულარული არმიის ოფიცრის ხელფასს უტოლდებოდა (ბახტაძე, 2013: 14). ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართულ საზოგადოებას, რის შესახებ მაშინდელ პრესაშიც კი აღინიშნებოდა. მაგალითად, გავრცელებული იყო შეხედულება, რომ „გვარდიელს ყველაფერი აქვს, სალდათს არაფერი“ (ერთობა, 1920: 16. 10).

შემორჩენილია ვალიკო ჯუღელის არაერთი მიმართვა ზემდგომი ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი, სადაც ის ითხოვდა ფინანსურ დახმარებას. მაგალითად, ერთ-ერთ განცხადებაში საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისადმი, იგი ითხოვდა სახალხო გვარდიის დაფინანსების გაზრდას, რასაც ასე ასაბუთებდა: „სახალხო გვარდიის ხარჯთაღრიცხვა ყველა პარაგრაფით და მუხლით შესამჩნევად გაიზარდა. გადიდებული თანხა აღარ კმარა სახალხო გვარდიის ჩვეულებრივი ხარჯების დასაფარავად“ (სცსა, ფონდ. 1970, ანაწ. 1, საქმ. 17: 2. ფაილი 4).

კიდევ ერთი საარქივო დოკუმენტის თანახმად, სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა 1919 დეკემბერში საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წინაშე დააყენა საკითხი 2 მილიონიანი საიდუმლო ფონდის შექმნის შესახებ (სცსა, ფონდ. 1970, ანაწ. 3, საქმ. 11, ფაილი 21).

1920 წლის თებერვალში საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმად, სახალხო გვარდიის შესანახად ყოველთვიურად, ნაცვლად 4 მილიონი მანეთისა, სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გამოიყო 15 მილიონი მანეთი (საქართველოს რესპუბლიკა, 1920: 3. 02).

ვალიკო ჯუღელი საქართველოს სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ შეუერთდა. მანამდე იგი რსდმპ ბოლშევიკურ ფრთას ეკუთვნოდა. როგორ თვითონ წერდა: „რევოლუციამდე მე ვიყავი მტკიცე ბოლშევიკი, თუმცა ფრაქციონერად მე თავს არასოდეს ვთვლიდი. დამფუძნებელი კრების გაერეკამ საბოლოოდ დამაშორა აფეთქებულ ბოლშევიზმს და მე გავხდი უბრალოდ სოციალ-დემოკრატი“ (ჯუღელი, 2022: 61).

ჯუღელის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ სვირში 1887 წელს დაბადებული და აღზრდილი ვალიკო ჯუღელი ცარიზმის საწინააღმდეგო მოძრაობაში მოწაფეობის წლებიდანვე ჩაერთო. რევოლუციური საქმიანობა მას არც პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტობისას შეუწყვეტია, რის გამოც დააპატიმრეს და სწავლის დასრულების შესაძლებლობა არ მიეცა. 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჯუღელი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში და ერთ-ერთ თვალსაჩინო ლიდერად ყალიბდება.

ვალიკო ჯუღელმა უდიდესი ძალისხმევა მოახმარა სახალხო გვარდიის შექმნის, განმტკიცების, მისი აღჭურვისა და სამხედრო მომზადების საქმეს. რა თქმა უნდა, სწორედ ვალიკო ჯუღელი იყო პასუხისმგებელი როგორც საქართველოს სახალხო გვარდიელთა ყველა მიღწევისა და გამარჯვებების, ისე სახალხო გვარდიაში არსებული ნაკლოვანებებისა თუ განცდილი მარცხის გამო.

გადმოგვცემენ, რომ ვალიკო ჯუღელი სახელებით, პირადად იცნობთა არამარტო გვარდიის შტაბებისა და უმცროს ოფიცერთა შემადგენლობას, არამედ რიგით მებრძოლებსაც კი. იცოდა მათი ოჯახური მდგომარეობა, პრობლემები და შეძლებისდაგვარად ცდილობდა გვერდით დადგომოდა თითოეულ მათგანს.

თანამედროვეთა დახასიათებით, „ვალიკო იყო უაღრესად აქტიური, მოქმედი ბუნება; მასში დოქტრინას სჭარბობდა მოქმედების წყურვილი: ...წრფელ რევოლიუციურ აღტაცებასთან ერთად მას აღმოაჩნდა ...საოცარი გულადობა. ორგანიზატორის დიდი უნარი და იშვიათი გამძლეობა შრომაშიც და ბრძოლაშიც. ...არ ყოფილა საშიშროება, რომ ვალიკო წინ არ გადაღობოდეს და საქართველოსკენ მომართულ ტყვიისათვის თავისი მკერდი არ მიეშვიროს“ (შარაშიძე, 1925: 18-19).

ცნობილი სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ასე აფასებდა სახალხო გვარდიისა და მისი ხელმძღვანელების როლს: „ერთი რამის კონსტატირება ...შეგვიძლია უეჭველი სიაშკარავით: თუ ჩვენი დემოკრატია განზე დარჩა იმ საშინელი სამოქალაქო ომისაგან, რომლის ცეცხლშიც დაიღუპა ...რუსეთის ყველა კულტურული ფასეულობა, თუ რუსეთის დიადი რევოლუციის შედეგად საქართველოს დემოკრატიამ დაიცვა თავისი საბრძოლო პოზიციები, ... – ყოველივე ამაში დამსახურების უზარმაზარი წილი ეკუთვნის, რა თქმა უნდა, სახალხო გვარდიასა და მის ბელადებს!“ (ჯუღელი, 2022, წინასიტყვაობა).

საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე და სამხედრო დაზვერვის რეზიდენტი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გენერალ-მაიორი პავლე სიტინი 1920 წლის 6 ნოემბრით დათარიღებულ და კრემლში გაგზავნილ თავის ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებაში ვალიკო ჯუღელს შემდეგნაირად ახასიათებდა: „ცნობილი ნაციონალისტი, სტრატეგიული მომზადება არა აქვს. პატივმოყვარე და პოპულისტია, თუმცა მამაცი და შეუპოვარი ადამიანი და შესანიშნავი ბელადია” (ალადაშვილი, 2021).

1921 წლის 12 თებერვლიდან, როდესაც საბჭოთა რუსეთის არმიებმა სხვადასხვა მხრიდან შემოუტიეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ვალიკო ჯუღელი კვლავ ფრონტის ხაზზეა და აქტიურადაა ჩართული თავდაცვითი ოპერაციების წარმოებაში.

ცნობილია, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არ შეუწყვეტიათ წინააღმდეგობა ქვეყანაში შემოჭრილ წითელი არმიებთან მას შემდეგაც კი, რაც მთავრობამ დედაქალაქი დატოვა და ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ ბათუმში გადაინაცვლა. თავდაცვით ბრძოლას განაგრძობდა სახალხო გვარდიაც. 1921 წლის 4-5 მარტს სოფელ ოსიაურთან, მტერთან გამართულ შეტაკებაში ვალიკო ჯუღელი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. იმავე წლის 17 მარტს ჯუღელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილ მთავრობასთან ერთად ბათუმიდან ემიგრაციაში გახიზვნა მოუწია. თვითმხილველთა ინფორმაციით, მას არ უნდოდა სამშობლოს დატოვება, მაგრამ ეს იძულებითი ნაბიჯი „თავისი სურვილის წინააღმდეგ, დარჩენილ და წამსვლელი ამხანაგების ერთსულოვანი მოთხოვნით“ გადაუდგამს (შარაშიძე, 1925: 18-19).

ვალიკო ჯუღელს საქართველოს დეოკუპაციისათვის ბრძოლა არც უცხოეთში შეუწყვეტია. მან სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის რამდენიმე წევრსა და სხვა სამხედრო მეთაურებთან ერთად, დაამუშავა და პარიზში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილ მთავრობას განსახილველად წარუდგინა საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების სტრატეგიული გეგმა. 1923 წელს ვალიკო ჯუღელმა სწავლა გააგრძელა საფრანგეთის სენ-სირის სამხედრო აკადემიაში, სადაც იგი კაპიტნის წოდებით მიიღეს და შვიდი თვის განმავლობაში გაიარა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მომზადების კურსი.

როდესაც თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმემ მოითხოვა, ვალიკო ჯუღელი უცხოეთიდან უყოყმანოდ დაბრუნდა სამშობლოში და ანტისაბჭოთა აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლი იკისრა. „მას ურყევათ სწამს ჩვენი საქმის სიმართლე, გამარჯვების აუცილებლობა და მისი ბრძოლის წყურვილს ერთი წუთითაც ვერ ანელებს პირადი

საშიშროების მოლოდინი. ...მას წასვლის შესაძლებლობა ეძლევა და მიდის, როგორც დღესასწაულზე, უჭმუნავათ, უეჭვოთ, რწმენით და იმედით გაცისკროვნებული (შარაშიძე,. 1925: 20).

„საქართველო მალე, სულ მალე იქნება თავისუფალი! – მეუბნებოდა გული. შეუძლებელია არ გადაიგდოს მან მტრის უღელი! და თუ როდესმე მე მქონია ბრძოლის და თავდადების სურვილი, თუ როდესმე მქონია იმედი გამარჯვებისა, დღეს ყოველივე ჩემში ეს გაორკეცდა ... ასეთია პირველი შედეგი ჩემი აქ ჩამოსვლისა...“ , – წერდა ერთ-ერთ წერილში ვალიკო ჯუღელი აკაკი ჩხენკელს (ერთი სარდლის „მძიმე ჯვარი“ (2020).

საქართველოში არალეგალურად დაბრუნებული ვალიკო ჯუღელი ჯერ გურიაში აფარებდა თავს, შემდეგ კი თბილისში გადმოინაცვლა, დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო კომისიაში გაერთიანდა და აჯანყების სამზადის ერთ-ერთ მეთაურად მოგვევლინა. სხვადასხვა პუბლიკაციაში შეხვდებით ინფორმაციას, რომ ვალიკო ჯუღელი საქართველოს დამკომის წევრი იყო (ერთი სარდლის „მძიმე ჯვარი“ (2020); ვალიკო ჯუღელი (2022). ეს თვალსაზრისი არ არის სწორი და საჭიროა იგი გასწორდეს.

ჩეკამ მალე შეძლო ვალიკო ჯუღელის ადგილსამყოფელის დადგენა და მისი პიროვნების გაშიფვრა. იგი 1924 წლის 6 აგვისტოს დააპატიმრეს, თბილისში, პასტერის ქუჩაზე დააპატიმრეს, როდესაც საიდუმლო კრებიდან ბრუნდებოდა. ეს ამბავი გაზეთმა „კომუნისტმა“ ასეთი სათაურით აცნობა მკითხველს: „ხალხის ჯალათის ვ. ჯუღელისა და სხვა ბანდიტების დაპატიმრება“. ტექსტში კი აღნიშნული იყო: „6 აგვისტოს თბილისში, საღამოს 10 საათსა და 35 წუთზე დაპატიმრებულ იქნა საზღვარ-გარეთიდან არალეგალურად ჩამოსული, სახალხო გვარდიის შტაბის ყოფ. თავმჯდომარე და მენშევიკური პარტიის ც.კ. წევრი, მთელს საქართველოში ცნობილი ბანდიტი, ოსეთის და აფხაზეთის გამანადგურებელი ვალიკო ჯუღელი, რომელმაც სისხლით მორწყო დუშეთის და სხვა მაზრები. რომელიც ცეცხლითა და მახვილით უსწორებდა ანგარიშს მენშევიკური ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს და ახლა ჩამოვიდა საქართველოში მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მიმრთული საძაგელი ავანტიურისტული ზრახვების განსახორციელებლად. უკანასკნელ ხანებში ვალიკო ჯუღელი ოფიცრად იმყოფებოდა საფრანგეთის ჯარში. დაპატიმრების დროს მას ჯიბეში აღმოაჩნდა ორი რევოლვერი პატრონებით“ (კომუნისტი, 1924: 8. 08).

აჯანყების დღეებში ვალიკო ჯუღელი, სავარაუდოდ, 30 აგვისტოს, ღამით, თბილისში დახვრიტეს. სახალხო გვარდიის სარდალი სამშობლოს თავისუფლებას გმირულად შეეწირა.

დასასკვნა

სახალხო გვარდია 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ნაწილი იყო, თუმცა მუდმივი ჯარისაგან განსხვავებით, იგი ნახევრად რეგულარულ შეიარაღებულ ფორმირებას წარმოადგენდა. ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოში არსებული მრავალი გამოწვევის, შიდა გართულებებისა თუ გარეშე საფრთხეების ვითარებაში სახალხო გვარდია იყო პირველი ძალა, რომელიც კრიზისულ სიტუაციებში გაბედულად მოქმედებდა. ამასთან, გვარდია ხშირად უწევდა რეგულარული არმიის ფუნქციების შესრულება და ქვეყნის თავდაცვით ბრძოლებში მონაწილეობაც.

სახალხო გვარდია ქმედითად იყო ჩართული ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების ჩახშობაში, რაც ხელს უწყობდა დემოკრატიული რესპუბლიკის სისტემის განმტკიცებას. მაგრამ სათქმელია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გვარდიის მოქმედებებს თან ახლდა გადამეტებული სიმკაცრე, განსაკუთრებით სეპარატისტულად განწყობილი ძალების მიმართ,

რის გამოც გვარდიასა და მის ხელმძღვანელობას მოსახლეობის ნაწილისადმი უხეშ მოპყრობაშიც ადანაშაულებდნენ.

სახალხო გვარდია სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების ერთგვარ პოლიტიკურ საყრდენად მიიჩნეოდა. იმის მიუხედავად, რომ გვარდია სახელმწიფო სტრუქტურად ითვლებოდა, თანამედროვეთა თვალით იგი უფრო პარტიულ ძალად აღიქმებოდა. ეს გარემოება თავის მხრივ გვარდიისადმი ოპოზიციისა და საზოგადოების ნაწილის უნდობლობას განაპირობებდა.

რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის ერთდროული არსებობა ხშირად იწვევდა ფუნქციების გადაფარვას, კოორდინაციისა და მართვის პრობლემებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში დაპირისპირებასაც კი, რაც ამ ორი შეიარაღებული ძალის მოქმედებას ნაკლებად ეფექტურს ხდიდა.

სახალხო გვარდიის შექმნას, განმტკიცებას, აღჭურვასა და სამხედრო მომზადებას უდიდესი ძალისხმევა მოახმარა მისმა სარდალმა ვალიკო ჯუღელმა. ამიტომ გვარდიის ყოველი მიღწევა, წარმატება თუ ნაკლი ჯუღელის სახელს დაუკავშირდა.

სახალხო გვარდიის ქარიზმატული ლიდერი რევოლუციური ეპოქის ტიპური ფიგურა იყო. იგი საკუთარ თავს „რევოლუციის ჯარისკაცად“ მიიჩნევდა, თუმცა სინამდვილეში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო. ჯუღელი ენერგიულ, იდეურ, ხშირად უკომპრომისო მეთაურად წარმოჩინდება, რომელიც დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს უსაზღვრო ერთგულებით გამოირჩეოდა.

ანტისაბჭოთა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობის გამო კომუნისტურმა რეჟიმმა ვალიკო ჯუღელი ბოროტმოქმედად გამოაცხადა და ბანდიტიზმში დაადანაშაულა. ეს იყო პოლიტიკური ხასიათის ბრალდება, რომელიც მოწინააღღმდეგის დისკრედიტაციას და პოლიტიკური პროცესებიდან მის ჩამოშორებას ემსახურებოდა. 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების დღეებში ვალიკო ჯუღელი დახვრიტეს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ალადაშვილი, ბ. (2021). *ინტრიგანი, ამბიციურ-პოპულისტი, გამოუცდელი - ვის „ამკობდა“ ამ ეპითეტებით ბოლშევიკების სამხედრო დაზვერვის რეზიდენტი?* https://kvirispalitra.ge/article/78778-intrigani-ambiciur-populisti-gamoucdeli-vis-qamkobdaq-am-epithetebith-bolshevikebis-samkhedro-dazvervis-rezidenti/

ბახტაძე, მ. (2013). *1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან,* თბილისი.

გურული, ვ. (1999). *ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი,* თბილისი.

ერთი სარდლის „მძიმე ჯვარი“ – ვინ იყო ვალიკო ჯუღელი (2020). https://kvira.ge/589814

ვალიკო ჯუღელი - საქართველო მალე, სულ მალე იქნება თავისუფალი! (2022). https://historyproject.ge/ge/archivememoryresearch/article/488/?cat_id=40

ვაჭარაძე, ა. (2019). *ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე: მემორიალური ალბომი 1864-1926*, თბილისი.

ორაგველიძე, ნ. (1936). საქართველოს სახალხო გვარდიაზე, ჟურნალი „სოციალისტური აზრი“, პარიზი, 1936, # 10.

ნოე ჟორდანია – 150 (2018). ავტორ-შემდგენლები ი. ირემაძე, დ. სილაქაძე და ს. ჭანტურიძე, თბილისი.

საქართველოს დამფუძნებელი კრება (2019). სხდომის ოქმები 7 ტომად, ტ. VI, 1920 წლის 19 მარტი – 6 ივლისი, თბილისი.

შარაშიძე, დ. (1925). *ვალიკო ჯუღელი,* ჟურნ. „ბრძოლა“, პარიზი, სექტემბერი, # 3.
შუბითიძე ვ. (2004). *ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებები,* დისერტაცია პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ჭანტურიძე, ს. ვაჭარაძე, ა. (2022). *აკაკი ჩხენკელი: 1874-1959. ალბომი,* თბილისი.
ჯანელიძე, ო. (2002). *სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი,* თბილისი.
ჯანელიძე, ო. (2018). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები,* თბილისი.
ჯანელიძე, ო. (2025). *გიორგი გვაზავა,* თბილისი.
ჯუღელი, ვ. (2022). *მძიმე ჯვარი: სახალხო გვარდიელის ჩანაწერები,* თბილისი.
Джугели, В. (1920). *Тяжелый крест. Записки народногвардейца*, Тифлис.

საარქივო, პერიოდული პრესის მასალები

სცსა, ფონდ. 1970, ანაწ. 1, საქმ. 17: 2. ფაილი 4. საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1970, ანაწერი 1, საქმე 17, ფურცელი 2, ფაილი 4.

სცსა, ფონდი 1970, ანაწ. 2, საქმ. 7: 12. საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1970, ანაწერი 2, საქმე 7, ფურცელი 12.

სცსა, ფონდ. 1970, ანაწ. 3, საქმ. 11, ფაილი 21. საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 11, ფაილი 21.

სცსა, ფონდ. 2081, ანაწ. 2, საქმ. 2:2. საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 2081, ანაწერი 2, საქმე 2, ფურცელი 2.

ერთობა, 1918: 30. 08. გაზეთი ,,ერთობა“, 1918 წ., 30 აგვისტო.

ერთობა, 1918: 26. 11. გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. , 26 ნოემბერი.

ერთობა, 1918: 12. 12. გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., 12 დეკემბერი.

ერთობა, 1920: 16. 10. გაზეთი „ერთობა“, 1920 წ., 16 ოქტომბერი.

კომუნისტი, 1924: 8. 08. გაზეთი „კომუნისტი“, 1924 წ., 8 აგვისტო.

საქართველო, 1918: 26. 06. გაზეთი „საქართველო”, 1918 წ. 26 ივნისი.

საქართველო, 1919: 13. 07. გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. , 13 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკა, 1919: 12. 12. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 12 დეკემბერი.

სახალხო საქმე, 1918: 12. 12. გაზეთი „სახალო საქმე“, 1918 წ., 12 დეკემბერი.

სახალხო საქმე, 1920 წ., 27. 10. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წ., 27 ოქტომბერი.

შრომა, 1919: 16. 01. გაზეთი „შრომა“, 1921 წ. , 16 იანვარი.

REFERENCES

aladasvili, b. (2021). *intrigani, ambiciur-populisti, gamoucdeli - vis „amkobda" am epitetebit bolsevikebis samxedro dazvervis rezidenti?* (Intriguing, ambitious populist, inexperienced—who did the head of Bolshevik military intelligence "award" with these epithets? https://kvirispalitra.ge/article/78778-intrigani-ambiciur-populisti-gamoucdeli-vis-qamkobdaq-am-epithetebith-bolshevikebis-samkhedro-dazvervis-rezidenti/

baxtaze, m. (2013). *1921 wlis ruset-saqartvelos omis sabrzolo moqmedebebis istoriidan* (From the history of Military operations of the Russian-Georgian war of 1921), Tbilisi.

guruli, v. (1999). *noe Jordania. politikuri portreti* (Noe Jordania. Political Portrait), Tbilisi.

erti sardlis „mzime jvari" – vin iyo valiko jureli (2020). (The "Heavy Cross" of One Commander – Who Was Valiko Dzhugeli?). https://kvira.ge/589814

valiko jureli - saqartvelo male, sul male iqneba tavisufali! (2022). (Valiko Jugheli - Georgia will soon, very soon, become free!). https://historyproject.ge/ge/archivememoryresearch/article/488/?cat_id=40

vawaraze, a. (2019). *nikoloz (karlo) cxeize: memorialuri albomi 1864-1926* (Nikoloz (Karlo) Chkheidze: Memorial Album 1864-1926), Tbilisi.

oragvelize, n. (1936). Saqartvelos saxalxo gvardiaze. Jurnali „socialisturi azri", parizi, # 10 (Oragvelidze, N. (1936). On the Georgian People's Guard, Journal "Socialist Opinion", Paris, 1936, # 10).

noe jordania – 150 (2018). avtor-semdgenlebi i. iremaze, d. silaqaze da s. wanturize (Noe Zhordania – 150. Authors and compilers: I. Iremadze, D. Silakadze and S. Chanturidze), Tbilisi.

saqartvelos damfuznebeli kreba (2019). sxdomis oqmebi 7 tomad, t. VI, 1920 wlis 19 marti – 6 ivlisi (Constituent Assembly of Georgia. Minutes of the session in 7 volumes, Vol. VI, March 19, 1920 - July 6), Tbilisi.

sarasize, d. (1925). *valiko jureli,* Jurn. „brZola", parizi, seqtemberi, # 3 (Sharashidze, D. Valiko Jughel, Journal "Brodsola" (Struggle), Paris, September, # 3.

subitize v. (2004). *noe jordanias politikuri sexedulebebi,* disertacia politikis mecnierebata doqtoris samecniero xarisxis mosapveblad, tbilisis saxelmwifo universiteti (Noe Jordania's Political Views. Dissertation for the Degree of Doctor of Political Science), Tbilisi State University

wanturize, s. vawaraze, a. (2022). *akaki Cxenkeli: 1874-1959. Albomi* (Akaki Chkhenkeli: 1874-1959. Album), Tbilisi.

janelije, o. (2002). *spiridon kedia. politikuri portreti* (Spyridon Kedia. Political portrait), Tbilisi.

janelize, o. (2018). saqartvelos demokratiuli respublikis istoriis narkvevebi (Essays on the history of the Democratic Republic of Georgia), Tbilisi.

janelize, o. (2025). giorgi gvazava (Giorgi Gvazava), Tbilisi.

jureli, v. (2022). mzime jvari: saxalxo gvardielis canawerebi (Heavy Cross: Notes of a People's Guardsman), Tbilisi.

Джугели, В. (1920). Тяжелый крест. Записки народногвардейца, Тифлис.

saarqivo, perioduli presis masalebi

scsa, fond. 1970, anaw. 1, saqm. 17: 2. faili 4. saqarTvelos erovnuli arqivi. saistorio centraluri arqivi. fondi 1970, anaweri 1, saqme 17, furceli 2, faili 4 (SCSA, Fond. 1970, Anat. 1, Case 17: 2. File 4. National Archives of Georgia. Historical Central Archive. Fond 1970, ref. 1, case 17, sheet 2, file 4).

scsa, fondi 1970, anaw. 2, saqm. 7: 12. saqarTvelos erovnuli arqivi. saistorio centraluri arqivi. fondi 1970, anaweri 2, saqme 7, furceli 12 (National Archives of Georgia. Historical Central Archive. Fond 1970, ref. 2, case 7, sheet 12).

scsa, fond. 1970, anaw. 3, saqm. 11, faili 21. saqarTvelos erovnuli arqivi. saistorio centraluri arqivi. fondi 1970, anaweri 3, saqme 11, faili 21 (National Archives of Georgia. Historical Central Archive. Fond 1970, ref. 3, case 11, file 21).

scsa, fond. 2081, anaw. 2, saqm. 2:2. saqarTvelos erovnuli arqivi. saistorio centraluri arqivi. fondi 2081, anaweri 2, saqme 2, furceli 2 (National Archives of Georgia. Historical Central Archive. Fond 2081, ref. 2, case 2, sheet 2).

ertoba, 1918: 30. 08. gazeti ,,ertoba“, 1918 w., 30 agvisto (Ertoba, 1918: 30. 08. Newspaper "Unity", 1918, August 30).

ertoba, 1918: 26. 11. gazeti „ertoba“, 1918 w. , 26 noemberi (Ertoba, 1918: 26: 11. Newspaper "Unity", 1918, November 26)

ertoba, 1918: 12. 12. gazeti „ertoba“, 1918 w., 12 dekemberi (Ertoba, 1918: 12. 12. Newspaper "Unity", 1918, December 12).

ertoba, 1920: 16. 10. gazeti „ertoba“, 1920 w., 16 oqtomberi (Ertoba, 1920: 16. 10. Newspaper "Unity", 1920, October 16).

komunisti, 1924: 8. 08. gazeti „komunisti“, 1924 w., 8 agvisto (Communisti, 1924: 8. 08. Newspaper "Communist", 1924, August 8).

saqartvelo, 1918: 26. 06. gazeti „saqartvelo”, 1918 w., 26 ivnisi (saqartvelo, 1918: 26. 06. Newspaper "Georgia", 1918. June 26).

saqartvelo, 1919: 13. 07. gazeti „saqartvelo“, 1919 w., 13 ivlisi ((saqartvelo, 1918: 26. 06. Newspaper "Georgia", 1918, July 13).

saqartvelos respublika, 1919: 12. 12. gazeti „saqartvelos respublika“, 1919 w., 12 dekemberi (saqartvelos Respublika, 1919: 12. 12. Newspaper "Republic of Georgia", 1919, December 12).

saxalxo saqme, 1918: 12. 12. gazeti „saxalo saqme“, 1918 w., 12 dekemberi (saxalxo saqme, 1918: 12. 12. Newspaper "Public Affairs", 1918, December 12).

saxalxo saqme, 1920: 27. 10. gazeti „saxalo saqme“, 1920 w., 27 oqtomberi (saxalxo saqme, 1920: 27. 10. Newspaper "Public Affairs", 1920, October 27).

sroma, 1919: 16. 01. gazeti „sroma“, 1921 w., 16 ianvari (sroma, 1919: 16. 01. Newspaper "Labor", 1921, January 16).